სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
52350680625725

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250782743

რეგისტრაციის თარიღი

25.06.2025 წ

ნოტარიუსი: ნინო უბერი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №30
ტელეფონი: (995) 599 77 28 77

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ
მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდახუთ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს ნინო უბერს, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №30, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ნიკოლოზ რუხაძემ**, მან, როგორც **შპს თბილისი ლოჯისტიკ სოლუშენ-ის დირექტორმა**, განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ, მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე შევამოწმე **ნიკოლოზ რუხაძის**, როგორც **შპს თბილისი ლოჯისტიკ სოლუშენ-ის** (საიდენტიფიკაციო ნომერი:404617759. იურიდიული მისამართი:საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გოგებაშვილის ქუჩა N30, სართული 8, ბინა 26 (III კორპუსი)) **დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.**
მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობის და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

„მიმნდობმა“: ნიკოლოზ რუხაძემ (დაბადებული:08.08.1975წ. პირადი №01025006334. მისამართი: ქ. თბილისი გურამ რჩეულიშვილის ქ. კორ. 6 ბ. 44) - **შპს თბილისი ლოჯისტიკ სოლუშენ-ის დირექტორმა,**

„მინდობილს“: ნიკა ჭუმბურიძეს (დაბადებული:01.12.1989წ. პირადი №01018003942. მისამართი: ქ. თბილისი, მიხეილ ზანდუკელის ქ. N 15 ფ. 1), **მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:**

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი
მინდობილი უფლებამოსილია, მიმნდობის, როგორც, შპს თბილისი ლოჯისტიკ სოლუშენ-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი:404617759) დირექტორის სახელით:

1.წარმოადგინოს და დაიცვას მიმნდობის ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანოებში, **ორგანიზაციასა და დაწესებულებებში,** მათ შორის, იუსტიციის სახლში (მის ნებისმიერ სამსახურში), ნებისმიერი ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ერთეულებში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ნებისმიერი რაიონის გამგეობაში, საკრებულოში, ნებისმიერ კომისიაში, კომუნიკაციის ტერიტორიულ სამსახურში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, მათ შორის: ყაზტრანსგაზი, თელასი, თელმიკო, სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ში, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ“-ში (GWP), „თბილისი ენერჯი“-ში, დასუფთავების სამსახურში, ინტერნეტ პროვაიდერებთან, შპს თერმული წყლებში (ს/კ 404419214), ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან და სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან ურთიერთობაში, მათ შორის მიმნდობის სახელით შეასულოს შემდეგი მოქმედებები:
შპს-ს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მოიპოვოს წერილობითი თანხმობები და /ან ნებართვები, შეადგინოს მშენებლობის ან კომუნიკაციის გაყვანილობის ან სხვა სახის პროექტები, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, დამტკიცება, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, განახორციელოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, მოახდინოს სატრანსპორტო საკომუნიკაციო გზის მოწყობა, მრიცხველის დაყენება, კომუნიკაციების: წყლის, კანალიზაციის, გაზის, დენის შეყვანა, (მონტაჟი, დემონტაჟი, გამრიცხველიანება, გამორთვა, შეჩერება, აღდგენა, გადატანა და სხვა; მოახდინოს ფართზე აბონენტად რეგისტრაცია/ჩაწერა და/ან რეგისტრაცია/ჩაწერიდან მოხსნა. ამ მიზნით შეადგინოს ნებისმიერი შინაარსის დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ (უძრავი ქონების განკარგვის, გასხვისების, უფლებრივად დატვირთვის გარდა),

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა
წინამდებარე მინდობილობა/რწმუნებულება მოქმედებს ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდახუთი იანვრის ჩათვლით.

აქტის ეგზემპლარები და დანართი: წინამდებარე აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს. წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23032574. ამონაწერის მომზადების თარიღი: 09/03/2023.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

სანოტარო მომსახურების ხარჯები: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, გადახდილია სანოტარო საზღაური: 30 (ოცდაათი) ლარი, დღგ: 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 5 (ხუთი) ლარი - ჯამში: 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიმნდობი: შპს თბილისი ლოჯისტიკ სოლუშენ-ის დირექტორი:

ნიკოლოზ რუხაძე _____

ნოტარიუსი ნინო უბერი

ლანომტელია,
ბაბანეელია 360
ლეტიცლად